

„ბინადრობის მოწმობა გალის რაიონში მუდმივად მცხოვრებ პირზე გაცემა“

გალის რაიონში ე.წ. ბინადრობის ნებართვის გაცემა გრძელდება. დე-ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა თემურ ნადარაიამ განაცხადა, რომ დოკუმენტის გასაფორმებლად მოქალაქობის არმქონე პირებმა, უნდა წარადგინონ ცნობა, რომელიც კონკრეტულ სოფელში მათი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს. ნადარაიას განცხადებით, რაიონში მცხოვრები ადამიანების ზუსტი რაოდენობის დასადგენად, ბინადრობის მოწმობების გაცემამდე, მოსახლეობის აღწერა ჩატარდა. გარდა ამისა, უკანონო ჩაწერის თავიდან ასაცილებლად, „ამოღებულ“ იქნა ძველი „საბინაო წიგნები“. თემურ ნადარაიამ აღნიშნა, რომ ამ პროცესში გამოვლინდა 4 ათასამდე პირი, რომელიც აღრიცხულია წიგნში, თუმცა ისინი ამჟამად არა გალის რაიონში, არამედ დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

"ეს ადამიანები გალის რაიონის ყოფილი მცხოვრებლები არიან და ახლა მოსაზღვრე ტერიტორიაზე ცხოვრობენ, თუმცა პერიოდულად კვეთენ საზღვარს, ამუშავენ საკარმიდამო ნაკვეთებს, იღებენ მოსავალს. ადრე მათ აფხაზური პასპორტები ჰქონდათ, თუმცა ეს არაკონონიერი იყო. ჩვენი ამოცანაა, რომ ასეთმა მოქალაქეებმა ვერ მიიღონ ბინადრობის მოწმობა. საქმე იმაშია, რომ დოკუმენტი ქართულ - აფხაზური საზღვრის შეუფერხებლად გადაკვეთის უფლებას იძლევა, თუმცა, არსებითად, ისინი აფხაზეთში ვიზებით უნდა შემოდიოდნენ", - განმარტა ნადარაიამ.

12.10.2017 *ვრცლად ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <http://abkhazinform.com/item/6575-vostочноj-abkhazii-vydano-500-vidov-na-zhitelstvo>*

„აფხაზეთის შს სამინისტროს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს“

გარი არშა აღნიშნულ თანამდებობაზე ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე დაინიშნა.

ახალი ე.წ. მინისტრი თანამშრომლებს რაულ ხაჯიმბამ წარუდგინა, მან აღნიშნა, რომ შსს-ს ყოფილმა ხელმძღვანელმა ასლან კობახიამ აქამდე ბევრი გააკეთა, თუმცა ახლა კრიმინალთან ბრძოლის გამკაცრებაა საჭირო.

1993 - 2011 წლებში გარი არშა „აფხაზეთის შს სამმართველოს“ სხვადასხვა თანამდებობებზე , ხოლო 2013 - დან 2017 წლამდე ის რუსეთის შსს-ს მთავარი სამმართველოს ჩრდილოეთ კავკასიის განყოფილებაში მუშაობდა.

12.10.2017 http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=6840

„აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების სმედიცინო დაზღვევის შესახებ ე.წ. შეთანხმება რატიფიცირებულია“

ოკუპირებული აფხაზეთის პარლამენტმა "რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეთა რუსეთის სმედიცინო დაზღვევის სისტემაში ჩართვის შესახებ" შეთანხმების რატიფიცირება მოხდინა. ე.წ. შეთანხმების თანახმად, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები რუსეთის ნებისმიერი მოქალაქე აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მიღებას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში შეძლებს.

დე-ფაქტო ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამედიცინო დაზღვევის პოლისი ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებ 190 000 ადამიანს ეკუთვნის, მათი გაცემა უახლოესი სამი თვის განმავლობაში დაიწყება, რისთვისაც ოკუპირებულ რეგიონში 6 სპეცპინქტი გაიხსნება: 2 - სოხუმში, თითო-თითო - გაგრაში, გუდაუთაში, ოჩამჩირესა და ტყვარჩელში.

პოლისის მისაღებად ე.წ. პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს რუსეთის ე.წ. საზღვარაგრეთის პასპორტი, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის საელჩოს მიერ არის გაცემული. ე.წ. პოლისების გაცემას რუსეთის კრასნოდარის მხარის სამედიცინო დაზღვევის ფონდი გაუწევს კურირებას.

16.10.2017 http://parlamentra.org/rus/about/info/news/?ELEMENT_ID=1688

„ევროდეპუტატი „აფხაზეთის კეთილი ნების ელჩების“ ბრიუსელში მიწვევას გეგმავს“

ერთ - ერთმა ევროდეპუტატმა, იანუშ კორვინ - მიკვემ, რომელმაც ბრიუსელში კულტურული ძეგლების დაცვის საკითხების განსახილველად მიიწვია ოკუპირებული აფხაზეთის „კეთილი ნების ელჩები“ განმარტა, „მე მხარს ვუჭერ ამ ინიციატივას, რადგან ძეგლების დაცვა - ძალიან კარგი საქმეა“ მისი თქმით, პოლონელთა უმრავლესობამ არ იცის, რომ კავკასიელი ხალხები, ქართველები, აფხაზები და სომხები ქრისტიანები არიან. იქ მრავალრიცხოვანი ძეგლები, ტაძრებია და მნიშვნელოვანია, რომ ისინი განადგურებას გადაურჩნენ. ომის შემდეგ, აუცილებელია ქრისტიანული მემკვიდრეობის შენარჩუნება“.

ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედმა საქველმოქმედო მოძრაობამ „აფხაზეთის კეთილი ნების ელჩები“ უძველეს ქრისტიანულ ტაძრებთან დაკავშირებით გაეროს და იუნესკოს ვიდეო მიმართვა გაუგზავნა. მიმართვის ავტორები იმედს გამოთქამდნენ, რომ იუნესკო და სხვა კომპეტენტური საერთაშორისო სტრუქტურები „აფხაზეთის უნიკალური ტაძრების შენარჩუნების პრობლემას ყურადღებას მიაქცევენ“.

16.10.2017 <https://www.youtube.com/watch?v=bUkyE3lqxls>

„სოხუმს საინვესტიციო პასპორტი მიიღო“

სოხუმს საინვესტიციო პასპორტი ექნება. მისი პრეზენტაცია ოკუპირებული აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელევიზიის პრეს-ცენტრში ქალაქის დე-ფაქტო ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ლეონ კვარჩიამ გააკეთა, წერს. კვარჩიას თქმით, საინვესტიციო პასპორტი არის პოტენციური ინვესტორებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც, მისი თქმით, რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული ინიციატივების სააგენტოს მხარდაჭერით შემუშავდა. მან აღნიშნა, რომ პასპორტი 11 განყოფილებისგან შედგება. ისინი ქალაქის ზოგად დახასიათებას და სოციალური და კომუნალური ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციას შეიცავენ.

18.10.2017 *ვრცლად* *ხელმისაწვდომია* *რუსულენოვან ვებგვერდზე* <http://sukhumcity.ru/%D0%BD%D0%BE%D0%B2%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B8>

„აფხაზეთიდან“ ექსპორტზე 66 ტონა თხილი გავიდა’

ოკუპირებული აფხაზეთიდან რუსეთში 1 აგვისტოდან დღემდე 66 ტონა თხილი გავიდა ექსპორტზე. დე-ფაქტო საბაჟო კომიტეტის მონაცემებზე დაყრდნობით. „საექსპორტო“ საბაჟო გადასახადმა 732 ათასი რუბლი (292 000 ლარი) შეადგინა. ამავე ცნობით, აღნიშნულ პერიოდში საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე 177 ტონა თხილი გაიტანეს რის შედეგად ხაზინაში 1 მილიონ 952 ათასი რუბლი (780 000 ლარი) შევიდა.

2012 წელს დე-ფაქტო ხელისუფლებამ გააუქმა სასოფლო - სამეურნეო პროდუქციაზე დაწესებული „საექსპორტო გადასახადი“, რომელიც 2015 წელს ისევ დაწესდა და გაურჩეველ

თხილზე 25, ხოლო გაურჩეველზე - 35 რუბლი შეადგინა. 2016 წელს გადასახადი შემცირდა შესაბამისად, მან 25 და 10 რუბლი შეადგინა.

„სოხუმის ბაზარზე 1 კგ გაურჩეველი თხილის ფასი - 60 რუბლია. გალის რაიონის მცხოვრებლები 1 კგ თხილს გადამყიდველებს 20-25 რუბლად აბარებენ. „ექსპორტიორები“ საქონელს ზუგდიდის რაიონში არსებულ პუნქტებში 110 – 115 რუბლად აბარებენ“.

18.10.2017 <http://abkhazinform.com/novosti>